


ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

საინვესტიციო პასპორტი

2011

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

მასშტაბი 1:235000



შესავალი -----

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება -----

-

2. მუნიციპალიტეტის სანედლეულო – რესურსული პოტენციალი ----

3. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა -----

--

3.1. საბაზრო ინფრასტრუქტურა -----

3.2. ბიუჯეტი -----

3.3. სოფლის მეურნეობა -----

3.4. მრეწველობა -----

3.5. ენერგეტიკა -----

3.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა -----

3.7. მიმდინარე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები დაფინანსების
ყველა წყაროს მიხედვით -----

4. მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური
თანამშრომლობა -----

5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების
საპროგნოზო პარამეტრები -----

6. საინვესტიციო წინადადებების მატრიცა -----

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საინვესტიციო პასპორტი (შემდგომში - პასპორტი) შემუშავებულია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების ფარგლებში არსებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიის მიხედვით.

პასპორტი წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შემფასებელი მახასიათებლებისა და მაჩვენებლების ერთობლიობას.

პასპორტის შემუშავების მიზანია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრა და საინვესტიციო წინადადებების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

- ადგილობრივი ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენება;

- საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, ქვეყნის შიდა და გარე ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება;

- დეპრესიულ ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

- გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.

პასპორტი მოიცავს ღონისძიებათა იმ წრეს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს და ხელს უწყობს მისი განვითარების სტრატეგიის რეალიზაციას; საინვესტიციო წინადადებები შემუშავდება მეურნეობის ცალკეული დარგების ჭრილში და მოიცავს მონაცემებს განსახორციელებელი საქმიანობის შინაარსის, მატერიალური რესურსების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ფინანსური სახსრების (საკუთარი და მოზიდული) და მოსალოდნელი შედეგის შესახებ.

პასპორტი ორგანულად ერწყმის რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივ სტრატეგიას; პასპორტში ასახვა უნდა ჰქონდეს ქვეყანაში მოქმედმა სახელმწიფო პროგრამებმა კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სპეციფიკის შესაბამისად.

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

ტერიტორიის ფართობი – 1142.1 კვ.კმ

ადმინისტრაციული ცენტრი – ამბროლაური

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 280 კმ

კლიმატი –

წყლის ძირითადი არტერიები:

მოსახლეობის რიცხოვნობა 1/01-2010 წ. – 14035

მათ შორის: ქალაქის – 2333 ; სოფლის – 11702

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1/01-2010 წ. – 12

მოსახლეობის მთლიანი რაოდენობიდან:

დასაქმებულია ეკონომიკაში – 5260

უმუშევართა რიცხოვნობა – 851

მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში (ქალაქი, დაბა):
- 2333

მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა) ორგანოების მიერ შემდეგი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ქ. ამბროლაური
ბუგეულის თემი
ველევის თემი
ზნაკვის თემი
იწის თემი
ლიხეთის თემი
ნამანევის თემი
ნიკორწმინდის თემი
სხვავის თემი
სადმელის თემი
ღაღიშის თემი
ცახის თემი
წყისის თემი
ჭელიაღელის თემი
ჭრებალოს თემი
ჭყვიშის თემი
ხვანჭკარის თემი
ხიდიკრის თემი
ხოტევის თემი

**მოსახლეობის რაოდენობა ტერიტორიული ორგანოებისა და სოფლების მიხედვით
1/01-2011 წლის მდგომარეობით**

| № | ტერიტორიული ორგანო | სოფელი | კომლი | სული |
|----|--------------------|---------------|-------|------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ქ. ამბროლაურის | – | 794 | 2333 |
| 2 | ბუგეულის თემის | აბანოეთი | 60 | 120 |
| | | ბარეული | 60 | 100 |
| | | ბუგეული | 163 | 405 |
| | | გორისუბანი | 33 | 51 |
| | | ქედისუბანი | 44 | 66 |
| | | ჯვარისა | 73 | 160 |
| 3 | ველევის თემის | ბეთლევი | 25 | 49 |
| | | ველევი | 52 | 105 |
| | | კვირიკეწმინდა | 28 | 52 |
| | | შხივანა | 14 | 32 |
| 4 | ზნაკვის თემის | ზნაკვა | 98 | 153 |
| | | მოტყიარი | 21 | 27 |
| | | საკეცია | 105 | 230 |
| 5 | იწის თემის | ახალსოფელი | 25 | 52 |
| | | გორი | 30 | 67 |
| | | ზემო კრიხი | 15 | 31 |
| | | ქვემო კრიხი | 56 | 136 |
| | | შუა კრიხი | 5 | 12 |
| | | იწა | 40 | 101 |
| 6 | ღიხეთის თემის | აბარი | 56 | 161 |
| | | ღიხეთი | 186 | 417 |
| | | ურავი | 160 | 401 |
| 7 | ნამანგვის თემის | ზედა შავრა | 58 | 102 |
| | | თხმორი | 37 | 54 |
| | | ნამანგვი | 22 | 57 |
| | | ხონჭიორი | 71 | 126 |
| 8 | ნიკორწმინდის თემის | კაჩაეთი | 65 | 126 |
| | | ნიკორწმინდა | 310 | 637 |
| | | ხარისთვალა | 2 | 2 |
| 9 | სხვაგვის თემის | ზემო სხვაგა | 38 | 74 |
| | | შუა სხვაგა | 64 | 112 |
| | | ფუტიეთი | 12 | 17 |
| 10 | სადმელის თემი | ბოსტანა | 118 | 340 |
| | | კლდისუბანი | 93 | 274 |
| | | ღვიარა | 64 | 180 |
| | | სადმელი | 217 | 569 |
| | | ძირაგეული | 124 | 355 |
| 11 | ღადიშის თემის | ბაჯი | 72 | 130 |
| | | პატარა ონი | 72 | 120 |
| | | ტბეთი | 25 | 34 |
| | | ქვედა შავრა | 36 | 64 |
| | | ღადიში | 34 | 85 |
| 12 | ცახის თემის | გოგოლეტი | 17 | 24 |

| | | | | |
|----|------------------|---------------|------|-------|
| | | ზედა ღვარდია | 40 | 52 |
| | | ქვედა ღვარდია | 15 | 22 |
| | | ცახი | 64 | 82 |
| 13 | წესის თემის | მუსლი | 19 | 28 |
| | | წესი | 215 | 578 |
| 14 | ჭელიაღელის თემის | აგარა | 67 | 138 |
| | | ზედა თლუღი | 39 | 66 |
| | | უყეში | 56 | 110 |
| | | ქვედა თლუღი | 127 | 293 |
| | | ჭელიაღელე | 65 | 116 |
| 15 | ჭრებალოს თემის | გენდუში | 19 | 42 |
| | | ზემო ჟოშხა | 88 | 231 |
| | | ქვემო ჟოშხა | 68 | 178 |
| | | ჭრებალო | 129 | 390 |
| 16 | ჭყვიშის თემის | ზედა ჭყვიში | 47 | 81 |
| | | ქვიშარი | 108 | 274 |
| | | ჭყვიში | 107 | 243 |
| 17 | ხვანჭკარის თემის | დიდი ჩორჯო | 71 | 130 |
| | | პატარა ჩორჯო | 61 | 156 |
| | | მეორე ტოლა | 141 | 326 |
| | | პირველი ტოლა | 134 | 331 |
| | | ხვანჭკარა | 231 | 571 |
| 18 | ხიდიკრის თემის | კვაცხუთი | 155 | 387 |
| | | ხიმში | 74 | 186 |
| 19 | ხოტევის თემი | სხარტალი | 7 | 15 |
| | | წკადისი | 11 | 14 |
| | | ხოტევი | 122 | 252 |
| | სულ | | 5974 | 14035 |

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შრომითი რესურსი 9474 კაცს შეადგენს, რაც მოსახლეობის 67 %-ს უდრის. აქედან დაუსაქმებელთა რაოდენობა დაახლოებით 8147 კაცი, ანუ სამუშაო ძალის 86%. ეკონომიკის დარგში დასაქმებულია 6111 კაცი, ანუ საერთო ოდენობის 64%.

დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გამოიყოფა თვითდასაქმებულები (შინა მეურნეობაში დასაქმებული) 3363 კაცი (35.5%)

დასაქმების ძირითადი სფეროები: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მშენებლობა.

საშუალო ხელფასი 156.8

საშუალო ხელფასი სახემწიფო სექტორში აშშ დოლარზე გაანგარიშებით 141 შეადგენს, კერძო სექტორში 136 დოლარს.

საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1881.6

განათლება და კვალიფიციური შემადგენლობა

ეკონომიკაში დასაქმებულთა განათლება აქვს 2168 კაცს, როფესიული – 2425 კაცს, ხოლო სრული ზოგადი განათლება – 1518 კაცს.

შრომითი რესურსების კვალიფიციური შემადგენლობა (მოკვლევის მასალები)

2. სანედლეულო რესურსთა პოტენციალი

მინერალური და რეკრეაციული რესურსები

სასარგებლო წიაღისეული სახეებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მათი მარაგების ოდენობა

წიაღისეულის დახასიათება და დაჯგუფება ათვისების ხარისხის მიხედვით

| N | დასახელება | განლაგება | რაოდენობა ათ.ტონა |
|---|----------------|--------------------------------------|-------------------|
| 1 | კირქვები | ამბროლაური, სოფ. ხოტევი, სოფ. ზნაკვა | 7251 |
| 2 | ქვალორდი | ჟოშხა, ნაქერალა | 440 |
| 3 | საკირე ქვები | ცახი | 400 |
| 4 | სააგურე თიხები | ჭრებალო, ამბროლაური | 560 |
| 5 | თაბაშირი | ჭრებალო, მუხლი, წესი | 998,6 |
| 6 | დარიშხანი | ურავი | 223 |

წყარო! საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

მინერალური და რეკრეაციული რესურსები

შაორის რეკრეაციული ზონა

შაორის წყალსაცავი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ულამაზესი ადგილია. იგი ხელოვნურ წყალსაცავს წარმოადგენს, რომლის ირგვლივ გაშენებულია უნიკალური ჯიშის ტყეები და მრავლადაა ისტორიულ-კულტურული ძეგლები. 2006 წლიდან დაიწყო მუშობა შაორის რეკრეაციული ზონის პროექტის შედგენაზე, რომლის ამოცანაა წყალსაცავის ირგვლივ სასტუმრო-დასასვენებელი კომპლექსის შექმნა, სადაც გაერთიანებული იქნება, როგორც წყლის, ასევე ტყის და მთის სისტემები.

შაორის რეკრეაციული ზონა გულისხმობს, როგორც ზაფხულის განმავლობაში ტურისტების მოზიდვას, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან საწყლოსნო სპორტით, ტყის ტურიზმისა და კულტურული ძეგლებით, ასევე გათვალისწინებულია ზამთრის პერიოდისათვის სამთო-ტურიზმისა და სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ჯამში რეკრეაციული ზონა გათვლილია საშუალოდ 60 000 ტურისტზე მთელი წლის განმავლობაში.

წყლის რესურსები მდინარეები, ტბები, წყალსაცავები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროლოგიურად. წყლის ძირითადი არტერიაა მდ. რიონი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედიდან – ფასის მთიდან. რიონის შენაკადებია: კრიხულა, ზნაკურა, შარეულა, ლუხუნი, რიცეულა და ასკი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუშაობს ერთი 4 მგ. ვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური – რიცეულაჰესი. მდინარე ლუხუნზე მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურების კასკადების მშენებლობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა შაორის წყალსაცავი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საუკეთესო პირობებია მეთევზეობის განსავითარებლად. აქ გავრცელებული თევზის ჯიშებია: მთის წყლებში კალმახი, დანარჩენ მდინარეებში წვერა. შაორის წყალსაცავზე კარგი პირობებია მეთევზეობის განვითარებისათვის. აქ არის კერძო სათავეზე მეურნეობა, სადაც მიმდინარეობს სქელშუბლასა და კობრის წარმოება.

ტყის რესურსები ტყის რესურსების დახასიათება

ძირითად სიმდიდრეს მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს ტყეები. მისი ფართობი 69 600 ჰა–ია. აქ ტყეები უმთავრესად შერეული ხასიათისაა. გავრცელებულია კოლხური ტიპის ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის სიმდიდრით. გავრცელებულია: მუხა, რცხილა, ცაცხვი, ვერხვი, ნეკერჩხალი, წაბლი, უთხოვარი, იფანი. წიწვოვნებიდან: სოჭი, ფიჭვი, ნაძვი. ტყეებს აქ ძირითადად სოციალური მნიშვნელობა აქვს. ისინი ასრულებენ ნიადაგდაცვით, წყალმარეგულირებელი, სანიტარულ–ჰიგიენურ ფუნქციებს. აგრეთვე იცავენ დასახლებულ ადგილებს და სასოფლო–სამეურნეო სავარგულებს ღვარცოფებისა და ზვავებისაგან.

მინერალური წყლები

რაიონი მდიდარია სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლებით (ლიხეთი, ურავი, აბანოეთი, გორისუბანი, ჭრებალო), რომლებსაც ბალნეოლოგიური თვალსაზრისით დიდი ღირებულება აქვთ და ეფექტურ შედეგს იძლევიან ძვალ–სახსროვანი დაავადებების სამკურნალოდ.

სამონადირეო–სარეწაო რესურსები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის საუკეთესო რესურსები სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად. მდინარეების ლუხუნისა და რიცეულას ხეობებში, სადაც ბინადრობს ჯიხვი, არჩვი, დათვი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კარგი პირობებია მეთევზეობის განვითარებისათვის.

3. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება:

ამბროლაურის ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობითა და ვაჭრობით. გააქტიურდა მშენებლობის სფერო, რაც ძირითადად გამოწვეულია მთავრობის

რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებით. რეგიონალური განვითარების ფონდისა, თუ სხვადასხვა პროგრამების სახით მუნიციპალიტეტში რამდენიმე ლარია დახარჯული. სამუშაოები სრულდება, როგორც ადგილობრივი ფორმების, ასევე ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ.

კვების მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია ღვინის ქარხნებით, ხილის გადამამუშავებელი საწარმოთი და პურ-ფუნთუშეულის წარმოებით.

ვაჭრობის თვალსაზრისით ამბროლაურს კარგი მდებარეობა აქვს. იგი იზიდავს, როგორც საკუთრივ ადგილობრივ, ასევე მეზობელ რაიონების მომწოდებლებს.

მომსახურეობის სფეროდან გამოირჩევა ინდივიდუალური მეწარმეების მიერ მიწოდებული მომსახურეობა, ძირითადად სასტუმრო სახლების მომსახურეობის, ავტოსერვისების და წვრილმანი ხელოსნების სახით.

3.1. საბაზრო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში არის „ლიბრთ ბანკის“ ამბროლაურის ფილიალი;

სადაზღვევო ორგანიზაციები: „აისი“, „ალფა“;

საფინანსო ორგანიზაციები (რომლებიც განახორციელებენ ოპერაციებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით) – არა;

კონსალტიკური მომსახურების ორგანიზაცია – არა;

სავაჭრო სამრეწველო პალატები – არა.

3.2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2007–2011 წლების ბიუჯეტები შემოსავლებისა და გასავლების ძირითადი მუხლების მიხედვით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2007–2011 წლებში

| | 2007 წ | 2008 წ | 2009 წ | 2010 წ | 2011 წ |
|--|---------|---------|---------|---------|---------|
| 1. ბიუჯეტის შემოსულობები, სულ | 2816500 | 5931235 | 4339000 | 4633288 | 2512100 |
| 1.1 ბიუჯეტის შემოსავლები მთლიანად | 2761000 | 5863197 | 4293200 | 699387 | 2477100 |
| – საგადასახადო შემოსავლები | 840300 | 109021 | 136700 | 141507 | 100100 |
| – არასაგადასახადო შემოსავლები (მოსაკრებლები და სხვა შემოსავლები) | 303400 | 133311 | 570000 | 491976 | 326000 |
| – გრანტები (ტრანსფერის ჩათვლით) | 1617400 | 5620865 | 3586500 | 3933921 | 2051100 |
| 1.2 არაფინანსური აქტივების კლება | 55500 | 68038 | 45800 | 65884 | 35000 |
| 1.3 ფინანსური აქტივების კლება | | | | | |
| 2. ბიუჯეტის გადასახდელები, სულ | 2870000 | 5258500 | 4482800 | 4446900 | 2723100 |
| 2.1 საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობა | 412400 | 538600 | 749700 | 855800 | 1236800 |
| 2.2. თავდაცვა | 19100 | 28900 | 42000 | 43500 | 48300 |
| 2.3. საზ. წესრიგი და უსაფრთხოება | 73900 | 89600 | 144500 | 142400 | 137100 |
| 2.4. ეკონომიკური საქმიანობა | 1502000 | 2533000 | 1789700 | 1554100 | 305000 |
| 2.5. გარემოს დაცვა | 39900 | 189000 | 97300 | 120400 | 111400 |
| 2.6. საბინაო კომუნალური მეურნეობა | 477800 | 1128300 | 711000 | 508100 | 112900 |
| 2.7. ჯანმრთელობის დაცვა | 34000 | 78000 | 55500 | 48800 | 45000 |
| 2.8. დასვენება, კულტურა, რელიგია | 160300 | 189500 | 301500 | 846900 | 414200 |
| 2.9. განათლება | 97200 | 103000 | 509400 | 187500 | 214000 |
| 2.10. სოციალური დაცვა | 53400 | 60600 | 82200 | 67600 | 70900 |

3.3. სოფლის მეურნეობა

წამყვანი სახეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება
2010 წელს

| მუნიციპალიტეტი | მარცვლული ათასი ტონა | პარკოსანი ათასი ტონა | კარტოფილი ათასი ტონა | ბორტნული ათასი ტონა | ბაღჩეული ათასი ტონა | ყურძენი ათასი ტონა | ხილი ათასი ტონა | ხორცი ათასი ტონა | რძე ათასი ტონა | კვერცი ცალი |
|----------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|------------------------|------------------------|-----------------------|--------------------|---------------------|-------------------|----------------|
| ამბროლაური | 0,8 | 0,2 | 0,6 | 0,12 | 0,15 | 0,3 | 0,2 | 0,3 | 11,0 | 800 000 |

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით:

- სახნავი – 213 ჰა
- მრავალწლიანი ნარგავები – 1739 ჰა
- სათიბი – 6254,9
- საძოვარი 17981
- საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები და ეზოები – 635 ჰა

მსხვილი ფერმერული მეურნეობების, ფერმერთა ასოციაციების, კოოპერატივების და სხვა გაერთიანებების რაოდენობა

| გაერთიანების მეურნეობის დასახელება | საქმიანობის ძირითადი მიმართულებები | გამოშვებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოს) მოცულობა (ათას ლარებში) |
|------------------------------------|------------------------------------|---|
| კოოპერატივი „თლული 2010“ | თივის მოთიბვა, შეგროვება დაწნეხვა | 90,0 |
| კოოპერატივი „გენდუმი 2010“ | თივის მოთიბვა, შეგროვება | 60,0 |

სოფლის მეურნეობის მომსახურე სერვისის ცენტრები

| ცენტრის დასახელება | საქმიანობის ძირითადი მიმართულებები | შესრულებული სამუშაოს მოცულობა (ათას ლარი) | ტექნიკის და მასალების ჩამონათვალი |
|---------------------------|---|---|--|
| ამხანაგობა „სოფლის იმედი“ | სასოფლო სამეურნეო სავარგულების დახვნა, კულტივაცია, დაპრესვა | 24,0 | ტრაქტორი MTZ 82,1-8 ცალი ტრაქტორი MTZ 1221,1-2 ცალი სამკორპუსიანი გუთანნი KP 143 – 7 ცალი ოთხკორპუსიანი გუთანნი KP 144 – 1 ცალი მოტობლოკი 09-H – 3 ცალი ფრეზი BT 210 – 3 ცალი |

3.4 მრეწველობა

| მუნიციპალიტეტი | მცირე საწარმოები (20 კაცამდე) | | | საშუალო საწარმოები (20–100 კაცი) | | | მსხვილი საწარმოები (100 კაცზე მეტი) | | | სულ მოქმედი საწარმოები | | |
|----------------|----------------------------------|---------------------------|---|-------------------------------------|---------------------------|---|---|---------------------------|---|---------------------------|---------------------------|-------------------------|
| | საწარმოთა რაოდენობა | დასაქმებულთა რაოდენობა | წარმოებული პროდუქცია (ათასი ლარი) | საწარმოთა რაოდენობა | დასაქმებულთა რაოდენობა | წარმოებული პროდუქცია (ათასი ლარი) | საწარმოთა რაოდენობა | დასაქმებულთა რაოდენობა | წარმოებული პროდუქცია (ათასი ლარი) | საწარმოთა რაოდენობა | დასაქმებულთა რაოდენობა | წარმოებული პროდუქცია |
| ამბროლაური | 11 | 96 | 1781,7 | 3 | 110 | 5201,8 | - | - | - | 14 | 206 | 6984,0 |

სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები

3.5. ენერგეტიკა

ამჟამად ამბროლაურის მუნიციპალიტეტს ელექტროენერჯით ამარაგებს მაღალი ძაბვის ხაზები ტყიბულიდან, ჭიათურიდან და ლაჯანურჰესიდან. ტერიტორიაზე მოქმედებს 4 მგ.ვტ სიმძლავრის რიცეულჰესი, რომლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სიმძლავრის გაზრდის მიზნით. მდინარე ლუხუნზე მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის გამომუშავებული ელექტრო ენერჯის რაოდენობას.

მოქმედებს თერჯოლა–ამბროლაურის გაზსადენი, რომელიც ჯერ მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას ამარაგებს გაზით.

3.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები ტყიბული–ონი და ქუთაისი–ონი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მთლიანი სიგრძეა 199 კმ, საიდანაც 17,1 გზა არის დაფარული ასფალტო ბეტონით, 181,9 კმ ღორღით და ხრეშით.

მუნიციპალური ტრანსპორტის სფეროში ძირითადად კერძო კომპანიები არიან დასაქმებული. არსებობს მუნიციპალური საწარმო, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი იქნა ავტობუსები. ავტობუსებით უზრუნველყოფილია სატრანსპორტო კავშირი ყველა ტერიტორიულ ერთეულსა და ადმინისტრაციულ ცენტრს შორის. ასევე გამართულად მუშაობს საქალაქთაშორისო ტრანსპორტი.

3.7. მიმდინარე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით

- ადგილობრივი ბიუჯეტი
- რეგიონური განვითარების ფონდი
- მგფ

4. მუნიციპალიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობა

მუნიციპალიტეტში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია

– „ქეა საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში“, რომელიც ფუნქციონირებს 2009 წლის სექტემბრიდან. ორგანიზაცია ეწევა სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ ფერმერთა დასაქმებას. შემოიტანა სასოფლო–სამეურნეო ტექნიკა.

5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო პარამეტრები 2011–2017 წლებში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შესადგენად აუცილებელია ყველა ფაქტორის ანალიზი და განვითარების ფაქტორების გაზომვა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების მიმართებაში.

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> – კარგი ბუნება – განლაგება რეგიონის გზაჯვარედინზე – ბუნებრივი რესურსები – ენდემური ღვინოები – წყლის უხვი რესურსები – შაორის წყალსაცავი – ტყის რესურსები – ეკოლოგიურად სუფთა სოფლის პროდუქტები – კულტურული ძეგლები – მუშახელის სიახლე – მიწის რესურსების სიახლე – კეთილმოწყობილი სასტუმრო | <ul style="list-style-type: none"> – სიშორე გასაღების ბაზრიდან – მოსახლეობის კლება – სამუშაო ძალის დეფიციტი – მომსახურების სფეროს დაბალი დონე – კვალიფიციური კადრების სიმცირე – ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტურობა და მაღალი დამოკიდებულება ცენტრალურ ტრანსფერზე – ინვესტიციების სიმცირე |

6. საინვესტიციო წინადადებების მატრიცა

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით არჩეულ უნდა იქნეს განვითარების შემდეგი სტრატეგიები:

1. ტურიზმის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საოჯახო სასტუმროების სექტორის განვითარებას, გაზრდის მოთხოვნას მუშახელსა და აგრარულ პროდუქციაზე. შედეგად გაზრდის შინამეურნეობის შემოსავლებს.

2. ეკოლოგიურად სუფთა მეხილეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და მისი გატანა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

3. ჰიდროენერგეტიკის, ტყის რესურსებისა და წიაღისეულის მოპოვების განვითარება, რაც უზრუნველყოფს გადასახადების სწრაფ (ქონების გადასახადი და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი) მობილიზებას ადგილობრივ ბიუჯეტში.

4. ტურიზმის განვითარება მოითხოვს გამართულ ადგილობრივ ინფრასტრუქტურას, კარგ გზებს, სასტუმროებს გაზიფიცირებული გათბობით და კვალიფიციური მუშახელით. ასევე საჭირო იქნება ადგილობრივი კულტურის აფიშირება და შესაბამისი სარეკლამო კომპანიების ორგანიზება.

5. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია დღეს არსებული საოჯახო მეურნეობების რესტრუქტურა და მისი ტრანსფორმირება პროდუქციაზე ორიენტირებულ მეურნეობებად. ეს კი მსხვილ კაპიტალდაბანდებასა და გასაღების მეტი ბაზრების მოძიებას მოითხოვს.

